

5167 Joker Plus Mat

მქრქალი საღებავი წყლის ფუძეზე შიდა სამუშაოებისთვის სილიკონით



პროდუქტის აღწერა

მქრქალი რეცხვადი საღებავი აკრილის ემულსიის ფუძეზე შიდა სამუშაოებისთვის სილიკონით.

გამოყენების სფერო

გამოყენება შესაბამისად მომზადებულ ახალ მინერალურ ზედაპირზე, როგორცაა უხეში ბათქაში, ბეტონი, ცემენტის ფილები, თაბაშირწყაო, შეუღებავი ზედაპირები, საგოზავი, შპალერი და მინა-შპალერი შენობის შიგნით.

თავისებურებები

- საღებავის სტრუქტურა განსაკუთრებულ ბზინვარებას ანიჭებს, რომელიც შესანიშნავად ანაწილებს სინათლეს.
- საღებავი უძლებს სველ დალაგებას, შესანიშნავად იწმინდება.
- გააჩნია მაღალი გაუმჭვირობა.
- არ ტოვებს ლილვაკის კვალს.
- მაღალი ორთქლგამტარობის გამო, უზრუნველყოფს კედლების სუნთქვას.
- არ შეიცავს გამხსნელს, იხსნება წყლით და ამიტომ არა აქვს სუნი და უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის.

გამოყენების ინსტრუქცია

— დასამუშავებელი ზედაპირი უნდა გაიწმინდოს ისეთი ადგილების ხელისშეშლებელი ფაქტორებისგან, როგორცაა მტვერი, ჭუჭყი ან ცხიმი, ასევე ძველი ან გაჯირჯვებული საღებავის ფენებისგან, და იყოს სუფთა და მედეგი. ახალ მინერალურ ზედაპირზე გამოყენებამდე საჭიროა დაელოდოთ 28 დღე, ზედაპირის სრულ გამკვრივებამდე. საჭიროა თავიდანვე მიიღოთ ყველა ზომა შენობის ჰიდროიზოლაციისთვის.

— ადრე შეღებილი ზედაპირი გაწმინდეთ ზუმფარის ქაღალდით და მოაცილოთ წარმოქმნილი მტვერი.

— საჭიროების შემთხვევაში შეავსეთ ბზარები და გაასწოროთ ზედაპირი აკრილის სქელი საგოზავით KALIN AKRILIK MAKUN ან Kalekim TAMIRART ან MACUNART.

— ძველი ზედაპირები გამხსნელის ფუძეზე კარგად გაწმინდეთ ზუმფარის ქაღალდით და მოაცილოთ წარმოქმნილი მტვერი.

— ზედაპირი ძველი საღებავის ნარჩენებით, ასევე ძველად შეღებილი და ჭუჭყიანი ზედაპირები, რომელთა ფერი გასურთ შეცვალოთ, დაამუშავეთ საგრუნტავით „Kale Salistar“, ახლად შესაღები აბსორბირებადი ზედაპირები კი დაამუშავეთ საგრუნტავით ძალიან აბსორბირებადი ზედაპირებისთვის „Kale SATEN ALCI ASTARI“ ან „Kale SILASTAR“.

- გამოყენებამდე კარგად არიეთ JOKER PLUS MAT.
- JOKER PLUS MAT გახსენით სუფთა წყალში მოცულობის მაქსიმუმ 10%-ზე და დაატანეთ ზედაპირს ორ ფენად ფუნჯით ლილვაკით ან საფრქველით.
- ფენების დატანას შორის უნდა გავიდეს მინიმუმ 6 საათი.
- გამოყენებისთანავე გარეცხეთ ხელსაწყოები წყლით.
- ღებვის დროს და შემდეგ 24 საათის განმავლობაში რეკომენდირებულია ოთახის და შეღებილი ზედაპირის ტემპერატურა არ იყოს 5°C-ზე ნაკლები.

გაფრთხილებები

- S2 შეინახეთ ბავშვებისგან დაცულ ადგილას.
- S24 / 25 მოერიდეთ თვალებში მოხვედრასა და კანთან კონტაქტს.
- S46 B ორგანიზმში მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

შენახვა

- გაუხსნელ შეფუთვაში შეინახეთ ტემპერატურაზე 5°C-35°C.
- გაუხსნელ მდგომარეობაში ვარგისიანობის ვადა შეადგენს 72 თვეს.

შეფუთვა

- 2,5 ლ, 7,5 ლ და 15 ლ პლასტმასის სათლები
- 2,5 ლ სათლები შეფუთულია ფირით ორ-ორად

ხარჯი საშუალოდ: 15 ლტ 1 პირი 120 მ² – 150 მ²

ტექნიკური მახასიათებლები

(ტენიანობით 50% და ტემპერატურით 23°C)

ზოგადი

ფერი	თეთრი და ბაზები A, B, C (ტონირება 10000 ფერში)
ფუძე	აკრილის ემულსია
სიმკვრივე	დაახლოებით 1,36 გრ/სმ ³
გამხსნელი	წყალი
შრალი ნარჩენი % (AG-TL-153)	56,3±2

ინფორმაცია გამოყენებისთვის

სამუშაო ტემპერატურა	(+5°C)-(+35°C)
გამშრობის დროს	მეორე ფენამდე - 2 სთ სრული გამშრობა - 24 სთ მომატებული ტენიანობისა და დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში დრო შეიძლება გაიზარდოს.
ხარჯი	0,100 ლ/მ ² (განსხვავდება ზედაპირის აბსორბიციული თვისებებისა და სისწორის მიხედვით)
ხელსაწყო	ფუნჯი, ლილვაკი, საფრქვეელი

პროდუქტიულობა

ორთქლგამტარობა - SD(მ) (EN ISO 7783-2)	≤0,100
ცვეთის გამძლეობა (ASTM 2486)	>250
ბზინვარება	მქრქალი
ექსპლუატაციის ტემპერატურა	(-30°C)-(+80°C)

EN 13300	კლასი
სველი ცვეთის გამძლეობა	კლასი 2
გაუმჭვირობა	კლასი 1 (5,0 მ ² /ლ)
ნაწილაკების მაქსიმალური ზომა	კლასი S1
ბზინვარება	კლასი G3

ხარისხის სერტიფიკატები: TS 7847

